საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ხათუნა ჩხაიძე – კოლეგიის წევრი

თეიმურაზ თოდრია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორები: დ. კ., დ. მ., ი. ჩ., მ. კ., ს. მ., ჯ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 28.05.2018

საჩივრის რეგისტრაციის #072/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ზ. კ.-ს მიმართ, სიითი #....

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ზ. კ.-ს ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 01 ივნისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს დ. კ.-მა, დ. მ.-მ, ი. ჩ.-მ, მ. კ.-მა, ს. მ.-მა, ჯ. მ.-მა და მოითხოვეს ადვოკატ ზ. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 მომჩივანი მხარის განცხადებით, ა. ი.-ს, რომელიც ადვოკატ ზ. კ.-ს მარწმუნებლის, ნ. ს.-ს მამაა, 2010 წლის 15 სექტემბერს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში მდებარე სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 1/3 წილი.

1.3 2013 წლის 11 იანვარს ადვოკატ ზ. კ.-ს მიერ მიწოდებული არასწორი ინფორმაციის საფუძველზე ქ. თბილისის, ისნის რაიონის ნოტარიუსმა ქ. ბ.-მა გასცა სამკვიდრო მოწმობა (N.....) ნ. ს.-ს სახელზე, როგორც ა. ი.-ს პირველი რიგის კანონისმიერ მემკვიდრეზე, სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების საფუძველზე; მაშინ, როდესაც ა. ი.-ს ნ. ს.-ს გარდა 4 შვილი ჰყავდა და ამასთანავე, აღნიშნულ ქონებაში ნ. ს.-ს მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ არ უცხოვრია.

1.4 მომჩივანი მხარის განმარტებით, 2013 წელს ნ. ს.-ს სურდა ი. ჩ.-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ჩამორთმევა, ამდენად მისი წარმომადგენლის, ადვოკატ ზ. კ.-ს, მეშვეობით სასამართლოში შეიტანა სარჩელი ი. ჩ.-ს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე (მოსარჩელე – ნ. ს., მოპასუხე – ი. ჩ., დავის საგანი – უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა). თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2013 წლის 25 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ნ. ს.-ს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

1.5 მომჩივანი მხარის განცხადებით, ადვოკატმა ზ. კ.-მა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმის წარმოების ფარგლებში, სასამართლო პროცესზე წარმოადგინა გაყალბებული დოკუმენტაცია – ს. ი.-ს განცხადება მისივე ხელმოწერით, თითქოსდა ი. ჩ. შეიჭრა ნ. ი.-ის სახლში და თვითმკვლელობამდე მიიყვანა იგი.

1.6 მომჩივანი მხარე მიუთითებს, რომ 2017 წელს ადვოკატმა ზ. კ.-მა ადვოკატ ე. თ.-თან ერთად თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა სარჩელი ქ. თბილისში მდებარე უძრავ ქონებაზე საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნით (მოსარჩელე – ნ. ს., მოპასუხე – ა. ა., დ. კ., დ. მ., ი. ჩ., კ. ა., მ. კ., ს. მ., ე. ა., დავის საგანი – საზიარო უფლების გაუქმება საგნის გაყიდვით).

1.7 მომჩივანი მხარე განმარტავს, რომ 2018 წლის 11 ივნისის ექსპერტიზის დასკვნა N..–ის მიხედვით, ნაკვეთის გამიჯვნა შესაძლებელია მისი თვითღირებულებისა და ფუნქციის დაკარგვის გარეშე, შესაბამისად, მისი გაყიდვის საჭიროება არაა.

1.8 მომჩივანი მხარის განცხადებით, ნ. ს. ისევე, როგორც საზიარო საგნის ყველა მესაკუთრე, თანახმაა საზიარო უფლების გაუქმებაზე საზიარო საგნის ნატურით გაყოფის გზით, თუმცა ადვოკატი ზ. კ. დაჭერით ემუქრება მას.

1.9 2018 წლის 6 ივლისს საპროცესო კოლეგიის ზეპირი განხილვის სხდომაზე ერთ–ერთი მომჩივანის ჯ. მ.-ს წარმომადგენელმა ვ. მ.-მა განმარტა, რომ იგი მისული იყო ნ. ს.-ს ერთ–ერთი ადვოკატის, ე. თ.-ის, ოფისში საქმის მორიგებით დასრულების თაობაზე მოსალაპარაკებლად. მისი თქმით, ოფისში მისვლისას იქვე იმყოფებოდა ზ. კ.-ც უყვიროდა შემდეგი რეპლიკების გამოყენებით: „ვინა ხართ, რა ხართ“, „წადით აქედან“ და ა.შ.

1.10 ვიტალი მამედოვის განმარტებით, იგი მობილურ ტელეფონზე ესაუბრებოდა ადვოკატ ე. თ.-ს, რა დროსაც მოესმა ზ. კ.-ს ყვირილი: „ხომ გითხარი ნუ ურეკავ, მაგათგან მაინც არაფერი არ გამოვა, ეგენი არაფრის გამკეთებლები არ არიან“.

1.11 ვიტალი მამედოვის აღნიშნავს, რომ ზ. კ.-მა მომჩივანი მხარის წარმომადგენლები არცერთხელ არ შეახვედრა ნ. ს.-ს. მისი თქმით, ადვოკატი საკუთარი ინიციატივით ამბობს უარს მოლაპარაკებებზე.

1.12 ვიტალი მამედოვის განცხადებით, ადვოკატ ზ. კ.-ს მიერ საკუთარი მარწმუნებლის ნების წინააღმდეგ წასვლა წარმოადგენს პროფესიული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას და პროფესიული ქცევის წესების დარღვევას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2018 წლის 22 ივნისს ადვოკატმა ზ. კ.-მა წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც იგი აცხადებს, რომ მომჩივნებს შეგნებულად არასწორად აქვთ აღწერილი საჩივრის შინაარსი, რითიც ადგილი აქვს ადვოკატის საქმიანი რეპუტაციის შელახვის მცდელობას და ცრუ ბრალდებებს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, 2017 წელს იგი წარმოადგენდა ნ. ს.-ს ინტერესებს (საქმეში 2/2922–15; მოსარჩელე ნ. ს.; მოპასუხეები – ა. ა., დ. კ., დ. მ. , ი. ჩ., კ. ა., მ. კ., ს. მ., ე. ა.; დავის საგანი – საზიარო საგნის გაუქმება საგნის გაყიდვით), რომელიც საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით წარმოადგენს ქ. თბილისში მდებარე უძრავი ქონების თანამესაკუთრეს 1/3 წილზე.

2.3 ადვოკატის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2017 წლის 27 აპრილს მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ნ. ს.-ს სასარჩელო მოთხოვნა საზიარო უფლების გაუქმების თაობაზე საზიარო საგნის გაყიდვის გზით სრულად დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოება.

2.4 ადვოკატი განმარტავს, რომ მომჩივანმა მხარემ 2014 წლის 24 თებერვალს დანიშნა ექსპერტიზა უძრავი ქონების ნატურით გაყოფის საკითხზე მესაკუთრეთა წილების შესაბამისად, თუმცაღა ქონების ფაქტობრივ მფლობელთა მიერ ხელშეშლის გამო ექსპერტმა ვერ შეძლო ექსპერტიზის ჩატარება, რის შესახებაც მითითებულია დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ აქტში. ამასთან, იმავეს მიუთითებს სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტი 2016 წლის 16 თებერვლის დასკვნაში. ადვოკატის თქმით, 2017 წლის 17 მარტს სასამართლოს მიერ კვლავ დაინიშნა ექსპერტიზა, სადაც მითითებულია, რომ ხელშეშლის გამო შენობა–ნაგებობების შიდა ფართების აზომვის შეუძლებლობის გამო, ვერ დგინდება საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებული წილების შესაბამისი ოდენობის ფართების განსაზღვრა, შესაბამისად ვერ განხორციელდა სახლთმფლობელობის გამიჯვნა წილების შესაბამისად.

2.5 ადვოკატი აღნიშნავს, რომ მას საკუთარი მარწმუნებლისთვის განმარტებული აქვს ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაციის სავარაუდო უარყოფითი შედეგები, მიუხედავად ამისა, მის მარწმუნებელს, ნ. ს.-ს აქვს თავისი პოზიცია და მოითხოვს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას, შესაბამისად, ქონების აუქციონზე გაყიდვის წესით რეალიზაციას.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მომჩივან მხარესთან არ მიმდინარეობს მოლაპარაკება, რაც დასტურდება ნ. ს.-ს კანონიერი წარმომადგენლის, ლ. ლ.-ს, 2018 წლის 21 ივნისის

განცხადებით, რომლის საფუძველზეც იგი ითხოვს უძრავი ქონების იძულებითი აუქციონის წესით რეალიზაციას კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შესაბამისად. ადვოკატი განმარტავს, რომ იგი მოქმედებდა კლიენტის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მისივე ნების შესაბამისად, ამდენად სააღსრულებო ბიუროში საქმე შეტანილია კლიენტის მოთხოვნით.

2.7 ადვოკატის განცხადებით, მომჩივნების მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ ყველა მესაკუთრე თანახმაა საზიარო უფლების ნატურით გაყოფაზე მორიგების გზით, სიმართლეს არ შეესაბამება.

2.8 ადვოკატი აღნიშნავს, რომ მომჩივან მხარეს არ წარმოუდგენია არანაირი მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ ყველა მესაკუთრე თანახმაა საზიარო უფლების გაუქმებაზე მორიგების გზით. ადვოკატის თქმით, მისი მარწმუნებლის ნების არსებობის შემთხვევაში საქმის მორიგებით დასრულების თაობაზე, თავად მიმართავდა აღსრულების ეროვნულ ბიუროს საქმის წარმოების შეწყვეტის მოთხოვნით, საჯარო რეესტრში მოახდენდა წილების გამიჯვნას, უარს განუცხადებდა საადვოკატო მომსახურების გაწევაზე და კლიენტის ინტერესების საზიანოდ მოქმედების შემთხვევაში თავადვე მომართავდა ადვოკატთა ეთიკის კომისიას საჩივრით.

2.9 ადვოკატის განმარტებით, სინამდვილეს არ შეესაბამება მომჩივნების მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ იგი ნ. ს.-ს ინტერესებს წარმოადგენდა სანოტარო ბიუროში. მისი თქმით, კლიენტს საადვოკატო მომსახურებას უწევდა მხოლოდ საზიარო უფლების გაუქმების საკითხებზე, შესაბამისად, ნოტარიუსისთვის რაიმე სახის ცრუ ინფორმაციის მიწოდებას ვერ შეძლებდა.

2.10 ადვოკატი განმარტავს, რომ ნ. ს.-ს შთამომავალთა რიცხვის გარკვევა მის კომპეტენციაში არ შედიოდა. ამასთანავე, ადვოკატისთვის გაუგებარია, რა კავშირი აქვს სასამართლო გადაწყვეტილებას აღსრულების საქმესთან.

2.11 ადვოკატის განცხადებით, მომჩივანი მხარის მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ იგი დაჭერით აშინებს მარწმუნებელს, რათა მორიგებაზე არ დათანხმდეს, შეურაცხმყოფელია. მომჩივან მხარეს არ წარმოუდგენია არანაირი მტკიცებულება აღნიშნული მოსაზრების დასადასტურებლად.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი ზ. კ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი #..../ სპეციალიზაცია – საერთო სამართალი. ადვოკატის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე, იგი არ არის გარიცხული საქართველს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 დ. კ.-მა, დ. მ.-მ, ი. ჩ.-მ, მ. კ.-მა, ს. მ.-მა და ჯ. მ.-მა ეთიკის კომისიას მომართეს 2018 წლის 28 მაისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2017–2018 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ზ. კ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30–ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორებთა პრეტენზია ადვოკატ ზ. კ.-ს მიმართ გამოიხატა შემდეგში: პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატმა ზ. კ.-მა არასწორი ინფორმაცია მიაწოდა ნოტარიუსს, რის საფუძველზეც მისი მარწმუნებლის სახელზე გაიცა სამკვიდრო მოწმობა. ასევე, ადვოკატმა სასამართლოს წარუდგინა გაყალბებული დოკუმენტაცია, მოქმედებდა საკუთარი მარწმუნებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ და აშინებდა მას. ამასთან, შეურაცხმყოფელი ფრაზებით მიმართავდა მოწინააღმდეგე მხარეს.

5.2 საჩივრის ავტორების პრეტენზიასთან დაკავშირებით, საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევაზე:

5.2.2 „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, ,,საადვოკატო საქმიანობის პრინციპს წარმოადგენს კანონიერება".

5.2.3 „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, „ადვოკატი ვალდებულია: არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები".

5.2.4 „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე–6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით".

5.2 საადვოკატო საქმიანობა ეფუძნება კანონიერების პრინციპს, რაც გულისხმობს ადვოკატის მოქმედების ვალდებულებას კანონის ფარგლებში. კანონიერების პრინციპის დაცვას ემსახურება „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლიც, რომელიც ადვოკატს კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, ანიჭებს უფლებას გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით. აღნიშნული მუხლი ადვოკატის მიერ კანონიერების პრინციპისა და ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულებას უფრო მაღლა განიხილავს, ვიდრე კლიენტის ინტერესების უპირატესობის დაცვის მოვალეობას.

5.3 ეთიკის კომისიის 2010 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, საქმე N066/10 კომისიამ დაადგინა, რომ „საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით.“

5.4 ეთიკის კომისიის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი აღიარებს კლიენტის ინტერესების უპირატესობას სხვა ინტერესებთან მიმართებით, ადვოკატი ვალდებულია იმოქმედოს პროფესიული ეთიკისა და კანონის რეგულაციის შესაბამისად.

5.5 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 07 მარტის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №057/10, დაადგინა: „კლიენტის ინტერესების დაცვის ვალდებულება ადვოკატს არ აძლევს უფლებას გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო საშუალებები. თუნდაც ამას კლიენტი ითხოვდეს და საჭიროდ მიაჩნდეს დაცვის ამგვარი გზით განხორციელება. ადვოკატი ვალდებულია კანონით გათვალისწინებული საშუალებებითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტებით იმოქმედოს.“

5.6 ეთიკის კომისია ადვოკატის საზოგადოებაში ქცევისა და პროცესის სხვა მონაწილეებთან ურთიერთობის სტანდარტთან დაკავშირებით განმარტავს, რომ ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები, პატივი სცეს პროცესის მონაწილე პირთა უფლებებს და არ დაუშვას მათი ხელყოფა. პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულება ადვოკატს ეკისრება არა მარტო სასამართლოში ან სასამართლოს ფუნქციის მატარებელ სხვა ორგანოში, არამედ იგი მოვალეა ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, მოთმინება, არ უპასუხოს მისი მისამართით გაკეთებულ პროვოკაციულ შეფასებებს და პატივი სცეს თავის საქმიანობას.

5.7 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.S. and Z v Switzerland (განაცხადი #10414/83, 1984 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება) აღნიშნა: „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა”.

5.8 ეთიკის კომისიამ ადვოკატ ზ. კ.-ს მიერ პროფესიული ქცევის წესების სავარაუდო დარღვევის არსებობის ფაქტის დადგენისას იმსჯელა საჩივარის ავტორების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებათა გამოკვლევის საფუძველზე. ეთიკის კომისია მიუთითებს, რომ მომჩივანი მხარის სამართლებრივ მოვალეობას წარმოადგენს ამტკიცოს და დაასაბუთოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა შესახებაც საჩივარში უთითებს.

5.9 მომჩივანი მხარის პოზიცია ემყარება იმ არგუმენტაციას, რომ ადვოკატმა ზ. კ.-მა ნოტარიუსს მიაწოდა არასწორი ინფორმაცია, რის საფუძველზეც მან ზ. კ.-ს მარწმუნებლის, ნ. ს.-ს სახელზე გასცა სამკვიდრო მოწმობა. ადვოკატი განმარტავს, რომ ამ დროს ნ. ს.-ის ინტერესების

წარმოდგენას. მომჩივანი მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ვერ დგინდება ნამდვილად ახორციელებდა თუ არა ადვოკატი ზ. კ. ნ. ს.-ს წარმომადგენლობას სანოტარო ბიუროში, შესაბამისად ეთიკის კომისია დადგენილად მიიჩნევს, რომ ზ. კ.-ს არ გაუწევია საადვოკატო მომსახურება ნ. ს.-სთვის ნოტაიუსთან ურთიერთობის განმავლობაში, აქედან გამომდინარე ამ უკანასკნელს ვერ მიაწოდებდა რაიმე სახის ცრუ ან თუნდაც სწორ ინფორმაციას.

5.10 საჩივრის ავტორთა პრეტენზიის შესახებ, რაც ეხება ადვოკატის მიერ სარჩელის შეტანას ი. ჩ.-ს მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება. შესაბამისად, ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგია ვერ იმსჯელებს, რამდენად სწორი სტრატეგია აირჩია ადვოკატმა. ეთიკის კომისია მხედველობაში იღებს, რომ ადვოკატის ქმედებები სარჩელის შეტანიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მიზნად ისახავდა კლიენტის ინტერესების დაცვას და წარმოდგენილი მტკიცებულებებით საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით ახორციელებდა კლიენტის წარმომადგენლობას.

5.11 რაც შეეხება მომჩივანი მხარის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ ზ. კ.-მა საქმის წარმოების პროცესში სასამართლოს გაყალბებული დოკუმენტაცია წარუდგინა, არ დასტურდება საჩივრის ავტორთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა საფუძველზე, შესაბამისად ეთიკის კომისია აღნიშნულ გარემოებას მხედველობაში ვერ მიიღებს.

5.12 მომჩივანი მხარის პოზიციასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატი ზ. კ. საკუთარ ინტერესებს მარწმუნებლის ინტერესებზე წინ აყენებს და საკუთარი ინიციატივით ამბობს უარს საქმის მორიგებით დასრულებაზე, ანუ საზიარო უფლების გაუქმებაზე საზიარო საგნის ნატურით გაყოფის გზით, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის ქმედებების შეფასება, მოქმედებს თუ არა იგი კლიენტის ინტერესთა პრიორიტეტულობის პრინციპიდან გამომდინარე, წარმოადგენს უშუალოდ კლიენტის და არა მოწინააღმდეგე მხარის პრეროგატივას. როგორც ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე დგინდება, არსებობს საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც ქ. თბილისიში მდებარე ქონება გატანილია იძულებით აუქციონზე. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ მის ფუნქციას წარმოადგენს მხოლოდ ადვოკატთა ქცევის სტანდარტის შეფასება პროფესიული ქცევის წესებთან მიმართებაში და არა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სამართლიანობის შეფასება ან ადვოკატის მიერ დასახული სტრატეგიის მართებულობის დადგენა. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ არ აქვს მნიშვნელობა რამდენად სამართლიანად ან უსამართლოდ მიიჩნევს მომჩივანი მხარე სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, ადვოკატის მიერ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა წარმოადგენს მისი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებას და ვერ შეფასდება პროფესიული ქცევის წესების დარღვევად.

5.13 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ აქვს ადვოკატ ზ. კ.-ს მხრიდან მისი მარწმუნებლის, ნ. ს.-ს, მიმართ მუქარის ფაქტს, რადგანაც აღნიშნული არ დასტურდება მომჩივანი მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე.

5.14 რაც შეეხება ადვოკატის მხრიდან საჩივრის ავტორების მიმართ წარმოთქმულ გამონათქვამებს, როგორიცაა: „ვინა ხართ, რა ხართ", „წადით აქედან", „ხომ გითხარი ნუ ურეკავ, მაგათგან მაინც არაფერი არ გამოვა, ეგენი არაფრის გამკეთებლები არ არიან" და ა.შ., რომელიც შესაძლოა არასასიამოვნო და მიუღებელია მომჩივანი მხარისთვის, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მსუბუქი ხასიათისაა, არ არის შეურაცხმყოფელი ხასიათის და მიზნად არ ისახავს საჩივრის ავტორებისთვის ღირსების შელახვას. მართალია, ადვოკატი ვალდებულია როგორც სასამართლო შენობაში, ასევე მის გარეთ, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას და გარკვეული ქმედებების შეფასებისას, პატივი სცეს მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელს და ღირსეულად დაიცვას კანონი და პროფესიული ეთიკის ნორმები, თუმცა, განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატის გამოხატვის ფორმა არ შეიძლება შეფასდეს მისი მხრიდან პროფესიული ქცევის ნორმების დარღვევად.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტით, მე-5 მუხლის ,,გ" ქვეპუნქტით, მე-6 მუხლის პირველი პუნქტით, ასევე ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 31-ე მუხლით, 40-ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპილინურ საქმეზე N072/18 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ ზ. კ.-ს მიმართ /სიითი N..../.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ჩხაიძე/

კოლეგიის წევრი: /თეიმურაზ თოდრია/